საქართველოს მთავრობის

დადგენილება №518

2021 წლის 26 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2019 – 2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №640 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №640 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016, 120210010.10.003.019707) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 და მე-16 მუხლების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2022 2024 წლების სამოქმედო გეგმა.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული „რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 15-წლიანი ეროვნული სტრატეგიის 2019 – 2021 წლების სამოქმედო გეგმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**